ხელშეკრულება № 221-4

ქ. თბილისი 21 დეკემბერი 2010 წელი

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი „საზოგადოებრივი მაუწყებელი" (შემდგომში „*შემსყიდველი*") წარმოდგენილი გენერალური დირექტორის გიორგი ჭანტურიას სახით,

და მეორე მხრივ, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „ახალი ამბები" – საინფორმაციო სააგენტო „ინტერპრესნიუსი" (შემდგომში „*სააგენტო*"), წარმოდგენილი დირექტორის ზაზა ბუაძის სახით,

"სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის თანახმად, წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს *სააგენტოს* მიერ დამზადებული ყოველდღიური საინფორმაციო გამოშვების (შემდგომში „*ინფორმაცია*") მიწოდება *შემსყიდველისთვის*.

მუხლი 2. მომსახურების გაწევის წესი, ვადები და ღირებულება

2.1. *სააგენტოს* მიერ გაწეული მომსახურების („*საინფორმაციო მომსახურება*") მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით.

2.2. წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურების საერთო ღირებულება განისაზღვრება 6 240 (ექვსი ათას ორასორმოცი) ლარით დღგ-ს ჩათვლით.

2.3. *საინფორმაციო მომსახურების* ყოველთვიური ღირებულება შეადგენს 520 (ხუთას ოცი) ლარს დღგ-ს ჩათვლით

მუხლი 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის განხორციელებული უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

3.2. ანგარიშსწორება განხორციელდება ყოველთვიურად, მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მხარეთა უფლებამოსილება და ვალდებულებები

4.1. *შემსყიდველი* ვალდებულია:

4.1.1. წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად დროულად და სრულად მოახდინოს *სააგენტოსთან* ანგარიშსწორება;

4.1.2. არ გადასცეს მესამე პირებს *სააგენტოს* მიერ მიწოდებული ინფორმაცია *სააგენტოს* წერილობითი თანხმობის გარეშე;

4.1.3. ინფორმაციის ყოველგვარი გამოყენებისას მიუთითოს, რომ „ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ახალი ამბების სააგენტო „ინტერპრესნიუსი";

4.1.4 უზრუნველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და სრულად შესრულება.

4.2. *შემსყიდველი* უფლებამოსილია:

4.2.1. არქივის შექმნის მიზნით მოახდინოს *სააგენტოს* მიერ მიწოდებული ინფორმაციის შენახვა, მათ შორის ელექტრონული სახით;

4.2.2. მიწოდებული ინფორმაცია გამოიყენოს თავისი ინტერესების შესაბამისად;

4.2.3. *სააგენტოს* მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოყენების პროცესში მოახდინოს მისი თარგმნა და რედაქტირება იმ პირობით, რომ არ შეიცვლება ინფორმაციის შინაარსი და აზრი.

4.3. *სააგენტო* ვალდებულია:

4.3.1. მიაწოდოს *შემსყიდველს* მის მიერ დამზადებული ინფორმაცია ყოველდღიურად და *შემსყიდველისთვის* მოსახერხებელი ფორმით, კერძოდ ფოსტის, ელექტრონული ფოსტის, ფაქსის ან მხარეთა შორის შეთანხმებული სხვა საშუალებების გამოყენებით;

4.3.2. მიაწოდოს ინფორმაცია ქართულ და რუსულ ენაზე, აგრეთვე მხარეთა შორის შეთანხმების შემთხვევაში – სხვა ენაზე;

4.3.3. უსრულველყოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად, სრულად და ხარისხიანად შესრულება

4.4 *საგანმა* უფლებამოსილია მოითხოვოს *შემსყიდველის* მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროულად და ჯეროვნად შესრულება

მუხლი 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. *საგანმის* მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, *შემსყიდველი* უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო წინამდებარე ხელშეკრულების 2.2. პუნქტით განსაზღვრული თანხის 10%-ის ოდენობით.

5.2. *შემსყიდველის* მიერ *საგანმისთან* ანგარიშსწორების ვალდებლებების შეუსრულებლობის, არაჯეროვნად შესრულების ან დაგვიანებულ დროში შეუსრულებლობის შემთხვევაში, *საგანმი* უფლებამოსილია დააკისროს მას პირგასამტეხლო შეუსრულებული ვალდებულების 0,1%-ის ოდენობით ვადაგადაცილების ყოველ კალენდარულ დღეზე.

მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენლებს უფლება აქვთ განახორციელონ კონტროლი და/ან გამოცადონ შესყიდვის ობიექტები, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში კონტრაქტით გათვალისწინებულ პირობებთან. შესყიდვის ობიექტების შემოწმების ადგილია შემსყიდველის იურიდიული მისამართი

6.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წარდგენილი შესყიდვის ობიექტების შეცვლა.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულების შესრულების კონტროლს (ინსპექტირებას) შემსყიდველის მხრიდან ახორციელებს ხსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის" გენერალური დირექტორის მოადგილე ინფორმაციის დარგში ხათუნა ბერძენიშვილი.

6.4. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი და ასევე ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელი პირი, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით აღასტურებენ, რომ გაცნობილნი არიან „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონს და მათი მონაწილეობა შესყიდვის განხორციელების პროცესში არ ეწინააღმდეგება აღნიშნული კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს

მუხლი 7. ფორს-მაჟორი

7.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული, როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას.

7.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი *შემსყიდველისა* და/ან *საგანმის* შეცდომებსა და დაუდეგრობასთან და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

7.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

მუხლი 8. დავათა განხილვის წესი

8.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთისლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები.

8.2. მხარეთა შორის შეთანხმების მიუღწეველობის შემთხვევაში, დავა განიხილება სახამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 9. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მუხლი 10. ზოგადი დებულებები

10.1. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაანაწილოს ან გადასცეს მესამე პირებს.

10.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და მათი დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.4 მხარეებმა ნებისმიერი შეტყობინება უნდა განახორციელონ წერილობითი ფორმით. ასეთი შეტყობინება ითვლება სათანადოდ გაგზავნილად, თუ იგი ადრესატს გადასცა კურიერმა, გაგზავნილია დაზღვეული წერილით ან ფაქსით ამ ხელშეკრულებაში მითითებულ მისამართზე და უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, თუ მეორე მხარეს ხუთი სამუშაო დღით ადრე არ შეატყობინეს საკუთარი მისამართის შეცვლის შესახებ.

10.5. მხარეები ვალდებულნი არიან არ გააცნონ წინამდებარე ხელშეკრულების პირობები მესამე პირებს.

10.6. ხელშეკრულება შედგენილია ორ თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად.

მუხლი 11. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	*მიმწოდებელი*
სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებელი“	*სააგენტო* შპს „ახალი ამბები“
მის.: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №68 საიდენტიფიკაციო კოდი: 204 858 163	მის: ქ. თბილისი, ილიაჭავჭავაძის 49 საიდენტიფიკაციო ნომერი: 205 075 014
საბანკო რეკვიზიტები სახ. ხაზინა ანგარიში 200 122 900 ბანკის კოდი 220 101 222	საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრალური ფილიალი ანგარიშის № 116 262 400 ბანკის კოდი: 220 101 502
გენერალური დირექტორი ..... გიორგი [illegible]	დირექტორი ..... ზაზა ბუაძე